პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 117 (7428)

19 1983 წ. ივნისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები ო. ნოზაძე და ი. ბერიაშვილი ტელეფონით გვატყობინებენ:

•

## გზა მიეცით „დედოფალს!.."

**თითქოს** მართლაც ვინმე დიდებული მოემართებოდა ლუჟნიკის სპორტულ სარბიელზე ამალის თანხლებით (პროგრამის ბარე ოთხი ათეული სახეობით) ისე დაუთმეს გზა „სპორტის დედოფალს" წყალბურთელებმა, ფრენბურთელებმა და მოფარიკავეებმა. დღეს პირველ ორ სახეობაში დასკვნითი ბრძოლები გაიმართება, ხოლო მუშკეტერები სასპარტაკიადო სარბიელს ორიოდე დღით მიატოვებენ...

**წყალბურთელებმა** უკვე 12-დღიანი ასპარეზობის დასასრულამდე ერთი ტურით ადრე გამოავლინეს ჩემპიონი. ეს არის **მოსკოვის** გუნდი, რომელმაც ფინალში ზედიზედ 6 შეხვედრა მოიგო და უკრაინელებთან ბოლო ორთაბრძოლის შედეგის მიუხედავად მეშვიდედ მოიპოვა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება. სპარტაკიადის „ვერცხლი" პირველად მოიხვეჭეს ყაზახეთის წყალბურთელებმა.

საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის ეგრეთწოდებულ თავის მიკროტურნირს გამართავს სამი კოლექტივი: უკრაინის, უზბეკეთისა და საქართველოს გუნდები. ამ ტრიოში ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდათ ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელებს, რომელთა აქტივში 17 ივნისისათვის იყო 2 მოგება, ერთი ფრე და 2 დამარცხება. ამიტომ ბოლოსწინა ტურის მატჩს ყაზახეთის გუნდთან (იგი მთლიანად ალმა-ათის „დინამოს" — ქვეყნის ორგზის ჩემპიონის წყალბურთელებითაა დაკომპლექტებული) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. წინა სპარტაკიადის „ვერცხლის" პრიზიორმა ქართველმა წყალბურთელებმა ამ დღეს გულშემატკივრებს იმედი გაუცრუეს, 4 ბურთის სხვაობით წააგეს ორთაბრძოლა

(დასასრული მე-3 გვ.)

საქართველოს სპორტკომიტეტში

# მათ შესწევთ ამის ძალა!

**საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ განიხილა პრესაში გამოქვეყნებული რესპუბლიკის სპორტსმენებისადმი საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართვა — „თქვენ შეგწევთ ამის ძალა!" ერთხმად აღინიშნა, რომ მასში ობიექტურადაა შეფასებული ყველა არადამაკმაყოფილებელი სპორტული მაჩვენებელი და ჩვენი სპორტული მუშაობის ზოგიერთი მანკიერი მხარე.

საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარების ახლანდელი ტემპის, რესპუბლიკაში მიმდინარე უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ფონზე განსაკუთრებით საგრძნობია სპორტული მიღწევების დაქვეითება. ეს აწუხებს რესპუბლიკის მშრომელებს, ახალგაზრდობას, ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს.

ჩვენი სპორტსმენები და მწვრთნელები ღრმად გრძნობენ, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენს მათდამი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. მათ არ აკლიათ ფართო საზოგადოების ყურადღება და სიყვარული, შექმნილი აქვთ ყოველგვარი საშუალება სრულფასოვანი ვარჯიშისათვის, მაგრამ სპორტული შედეგები ნაკლებად იზრდება.

რესპუბლიკის მწვრთნელთა უმრავლესობა წვრთნის დრომოჭმულ მეთოდებს იყენებს; სპორტსმენთა შორის მოისუსტებს მორალურნებელობითი თვისებები, პატრიოტიზმისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, ჭეშმარიტად მებრძოლური ხასიათი და, რაც მთავარია, ხალხის სიყვარულზე საპასუხო მოქმედების, თვითგანსჯის უნარი.

სპორტულ დაოსტატებაში საერთაშორისო დონის მიღწევა მრავალ გლობალურ ფაქტორთანაა დაკავშირებული და მათი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ არსებულ პრობლემათა კომპლექსის წარმატებით გადაჭრის შემთხვევაში. მათი დაძლევისათვის საჭიროა დიდი დრო და შრომატევადი სამუშაოების შესრულება.

პირველ რიგში აქცენტი უნდა ავიღოთ ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის არსებული სტილისა და მეთოდების ძირეულ გარდაქმნაზე, რადგანაც დღეისათვის მრავლად გაგვაჩნია სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დაქვეითების ფაქტები, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში ფიზიკური კულტურის არასწორი ორგანიზაციით, ქაოსური, უსისტემო მუშაობითაა გამოწვეული. ბავშვთა სპორტს ნაკლებ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები, მათ შორის სპორტსაზოგადოება „დინამო". ისინი არ ცდილობენ საკუთარი რეზერვის აღზრდას და საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის მის გამობრძმედას. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სპორტული სკოლების მუშაობა, საიდანაც შევსებას უნდა იღებდეს რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. არ არის ჩამოყალიბებული ბავშვთა სპორტის მართვის ერთიანი სისტემა, არ ხდება პროგნოზირება. შესუსტებულია კონტროლი, მომთხოვნელობა, პრაქტიკული დახმარება სპორტულ სკოლებში მომუშავე მწვრთნელებისადმი, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისადმი.

იგივე შეიძლება ითქვას უმაღლესი დაოსტატების სპორტულ სკოლებზე, რომელთა კონტიგენტის ნაწილი უპერსპექტივოა, რაც შეუძლებელს ხდის მაღალი რანგის სპორტსმენთა მომზადებას.

სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით დაბალია მწვრთნელ-მასწავლებელთა პროფესიული მომზადების დონე. ხშირად სასწავლო ჯგუფებს ამეცადინებენ არასპეციალისტები, დღემდე ვერ შემუშავდა მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემა.

უმნიშვნელო როლს თამაშობს მაღალი რანგის სპორტსმენთა მომზადებაში საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. მან დღემდე ვერ შექმნა ჩამოყალიბებული მოდელი მწვრთნელისა, რომელიც შეძლებს დღევანდელობის დონეზე წარმართოს მაღალი რანგის სპორტსმენთა აღზრდის პროცესი. მის ლაბორატორიაში ვერ შეხვდებით უცხოეთის უძლიერეს მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენთა წვრთნის მეთოდიკას; ვერ აწვდიან საჭირო რჩევებს სპორტის ხელმძღვანელ მუშაკებს, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს; არ იმართება პრობლემური კონფერენციები სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარების ტენდენციებზე.

გაუმჯობესებას მოითხოვს სამედიცინო მომსახურება, ტრავმასაწინააღმდეგო პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო მუშაობა, ფსიქოლოგიური დახმარება სპორტსმენთა წინასასტარტო პერიოდში.

უნდა ამაღლდეს სპორტული ფედერაციების როლი სპორტის განვითარების საქმეში.

სპორტის სამსახურში უნდა ჩადგეს სპორტის ვეტერანთა საბჭოები.

მოუგვარებელია ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში, ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონულ და საქა-

(დასასრული მე-2 გვ.)

პრაქტიკული მოქმედების სახელმძღვანელო

•

## ფიზკულტურა — ეკონომიკური კატეგორია

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, რომელმაც განიხილა პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები, ხაზგასმით ითქვა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დიდ მნიშვნელობაზე მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ახალი ადამიანის ჰარმონიულად აღზრდის საქმეში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, რომელიც აკისრიათ ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს, ამ დარგის მუშაკებს — მწვრთნელებს, პედაგოგებს, ფიზკულტურის მეთოდისტებსა და ორგანიზატორებს.

მეცნიერული გამოკვლევებითა და პრაქტიკული დაკვირვებებით დადგენილია, რომ შრომით კოლექტივებში ფიზკულტურისა და სპორტის ფართო დანერგვის გზით 5-10 პროცენტით იზრდება შრომის ნაყოფიერება. დიახ, ფიზკულტურა, სპორტი, ტურიზმი, საწარმოო ტანვარჯიში ეკონომიკურ კატეგორიად, რეზერვების ამოქმედების საიმედო წყაროდ გვევლინება. ამიტომ, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როცა ადამიანების ფიზიკური აქტივობა შეზღუდულია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობა: სისტემატური ვარჯიშით ძლიერდება სასიცოცხლო ტონუსი, მხნე, ხალისიანი განწყობილება კი ამაღლებს შრომის უნარიანობას, შემოქმედებით პოტენციალს.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტმა გაითვალისწინა ეს მოთხოვნები და შემოიღო მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზატორის სპეციალიზაცია. წლეულს ამ სპეციალობისათვის 50 ადგილია გამოყოფილი.

ცხადია, ჩვენს რესპუბლიკაში, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, მშთ კომპლექსის დანერგვა არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ხშირად ვაწყდებით უპასუხისმგებლობის, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების, სიყალბისა და მიწერის ფაქტებს. განსაკუთრებით საგანგაშო სურათი მოგვცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებასთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის, ტურიზმის შემდგომი განვითარების სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგებმა, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში. აქ მოყვანილი ფაქტები თვალნათლივ მეტყველებს, რომ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა აშკარად ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს. სამწუხაროდ, ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში და მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველანი უნდა დავირაზმოთ.

**ა. დოკვაძე,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურული მოძრაობის მართვის, ორგანიზაციისა და ისტორიის კათედრის გამგე, დოცენტი.**

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი

## ღირსშესანიშნავ იუბილეს მიეძღვნა

**გუშინ** თბილისში, რესტორან „არაგვთან" სტარტი მიეცა საგზატკეცილო ველოგადარბენას მარშრუტით თბილისი — ყაზბეგი — თბილისი. ასპარეზობაში, რომელსაც „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო ატარებს, 35 სპორტსმენი მონაწილეობს. ეს სპორტული ღონისძიება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავს ეძღვნება.

•

სურათზე: ველომრბოლთა სტარტი სანაპიროზე. ე. ხუცურაულის ფოტო.



# მათ შესწევთ ამის ძალა!

დასასრული

ლაქო კომიტეტებში. ბოლო წლებში სელექციური მუშაობის მივიწყებამ შემცირა ნაკრები გუნდებისათვის პერიფერიებიდან კანდიდატების მოწოდება. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა, სამმართველოები და განყოფილებები, უფროსი მწვრთნელები მათდამი განპირობებულ სპორტის სახეების დანერგვა-განვითარების საქმეში მხოლოდ სტატისტის როლით კმაყოფილდებიან. არ ჩანს ყოველდღიური, პრაქტიკული მუშაობა თითოეულ სპორტსმენთან, ნაკრები გუნდის წევრებთან, ნაკლებად ვზრუნავთ დირსეული ცვლის მომზადებაზე.

დღემდე ვერ ამუშავდა სპორტკომიტეტის კოლეგიის მიერ შემუშავებული და მოწონებული ყველა სპორტის სახეობის რესპუბლიკური მართვის მოდელი.

მწარე პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ალბათ მეტი დაკვირვება და აუჩქარებლობა გვმართებს სპორტსმენთა გუნდიდან დათხოვის ან სხვა გუნდში გადაყვანის დროს. უნდა დაინერგოს პროფესიული, მეცნიერული რეკომენდაციების გამოყენების პრაქტიკა გუნდების წვრთნისა და შემადგენლობის დადგენის საკითხში. უნდა შემუშავდეს სპორტსმენის დიდი სპორტიდან წასვლის რიტუალის სისტემა, რათა აქტიურ სპორტთან გამომშვიდობების დღე იქცეს მისთვის სპორტთან მარადიული განუშორებლობის დღედ.

თითქოს შევეჩვიეთ იმ ფაქტს, რომ სპორტის ბევრ სახეობაში ქართული სპორტის წარმომადგენლებმა შესამჩნევად დათმეს პოზიციები, რომლის ახსნასაც თაობათა ცვლის პროცესით ხსნიან, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ გაჭირვების ჟამს იბადებიან გმირები და სწორედ ეს მომენტი მოითხოვს ყველა რეზერვის მაქსიმალურ მობილიზებას.

კოლეგია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში შექმნილ მდგომარეობაზე, რესპუბლიკაში სპორტული თამაშების განვითარების არადამაკმაყოფილებელ დონეზე. ეს საკითხები უახლოეს ხანში საგანგებო მსჯელობის საგანი გახდება. მეტი მუშაობაა საჭირო ფეხბურთის, ჭიდაობის, სპორტის გამოყენებითი სახეობის სამმართველოების ავტორიტეტისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

კოლეგიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სპორტის თითოეული მუშაკის უპირველესი ვალია, პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა შესაბამისად, ძირფესვიანად გარდაქმნან მუშაობის სტილი და მეთოდები, აამაღლონ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობა. უზრუნველყონ მშრომელი ადამიანების, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდა, მათი ჰარმონიული განვითარება, შრომისა და სამშობლოს თავდაცვისთვის მომზადება. ამ საკითხებზე გამახვილდა ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, სადაც აღინიშნა, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზრუნვა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. **„შრომა ხელს უწყობს ფიზიკურ განვითარებასაც, — თქვა პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ამ საქმეში კი ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. მხედველობაში მაქვს არა მარტო ფიზკულტურის გაკვეთილები და სპორტში მეცადინეობა, არამედ ჰიგიენისა და სამედიცინო დახმარების დარგში ცოდნის რაღაც მინიმუმის შეძენაც. ადამიანი სიყმაწვილიდანვე უნდა იცნობდეს თავის ორგანიზმს და შეეძლოს მისი მოვლა".**

მიუხედავად რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისთვის გადადგმული კონკრეტული ნაბიჯებისა, ამ მიმართებით მრავალმხრივი, სერიოზული მუშაობის ჩატარება მოგვიწევს და აქ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სპორტკომიტეტის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სამმართველოს. მასობრიობა დიდი სპორტის საძირკველია და როცა ამ უბანზე მუშაობა მოგვარებული არ არის, ეს ეგრეთწოდებულ დიდ სპორტშიც იჩენს თავს. სავალალოა, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვნად დათმეს პოზიციები საკავშირო სარბიელზე, განსაკუთრებით კომპლექსურ შეჯიბრებებში.

ახლა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს უდიდესი სპორტული ფორუმი — სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება. ეს არის ოთხწლიან პერიოდში გაწეული მუშაობის გენერალური დათვალიერება.

სპარტაკიადისთვის მზადების გეგმაში, რომელიც ოთხი წლის წინ შედგა, კვლავ ვერ გავითვალისწინეთ ის შეცდომები, რაც გამოააშკარავა წინა სპარტაკიადებმა.

უკანასკნელ პერიოდში სპორტის ცალკეულ სახეობებში მდგომარეობის გამოსწორებისა და დაკარგული ტრადიციების აღდგენისათვის გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები: შეიქმნა მუშა-ჯგუფები, რომელშიც გაერთიანდა სპეციალისტთა ფართო წრე, შემუშავდა პერსპექტიული გეგმა, მაგრამ გვიან და არაკვალიფიციურად.

რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართვამ მამობილიზებელი, საბრძოლო სულისკვეთებით განაწყო ჩვენი სპორტსმენები. ერის მოწოდება, მისი ყოველი ნათქვამი თუ უთქმელადაც მისახვედრი სიტყვა სპორტული ბატალიების საბრძოლო პროგრამად იქცა. მოწოდების გარშემო ნაკრებ გუნდებში ცხოველი სჯა-ბაასია... მწვრთნელები და სპორტსმენები პირობას დებენ, რომ სასახელო სპორტული მაჩვენებლებით უპასუხებენ ერის სიყვარულს და თანადგომას.

კოლეგია რწმენას გამოთქვამს, რომ ნაკრები გუნდის ყველა წევრი, ყოველი სპორტსმენი, მწვრთნელი, სპორტული ფედერაციები, ყოველი ფიზკულტურული მუშაკი მთელი გულისყურით, ღრმად ჩაწვდებიან მოწოდებაში გატარებულ აზრს, ყოველი გადამწყვეტი პაექრობის წინ ემახსოვრებათ, რომ ჩვენს გამარჯვებას ელის სპორტის მოყვარულთა მრავალმილიონიანი არმია.

კოლეგიამ, განიხილა რა საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართვა რესპუბლიკის სპორტსმენებისადმი, მიიღო შესაბამისი დადგენილება, სადაც დასახულია მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი.

## მოჭადრაკეთა სიტყვა

**ლიტვაში** საწვრთნელ შეკრებაზე გამგზავრების წინ საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის წევრები თბილისის ჭადრაკის სასახლეში შეიკრიბნენ. აქ მოვიდნენ სასახლის დირექტორი, საერთაშორისო არბიტრი ლ. წეროძე, თბილისის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე ა. კუპავა და სხვები. გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიმართვას რესპუბლიკის სპორტსმენებისადმი — „თქვენ შეგწევთ ამის ძალა!".

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ბ. გურგენიძემ, მსოფლიო ჩემპიონმა დიდოსტატმა მ. ჩიბურდანიძემ, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა და ახალგაზრდა ოსტატმა ზ. აზმაიფარაშვილმა მოიწონეს მიმართვა, აქტუალურად მიიჩნიეს მასში აღძრული საკითხები. აი, რა თქვა ნ. გაფრინდაშვილმა.

— ხალხს უყვარს სპორტსმენები, ამაში თვალნათლივ დაგვარწმუნა მიმართვამ. ამიტომ, რა მწარეც არ უნდა იყოს ჩვენი სახელოვანი ადამიანების სამართლიანი შენიშვნები, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ქართული საბჭოთა სპორტის საკეთილდღეოდ.

დასასრულს კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ ნაკრების წევრები მიზნად ისახავენ მაქსიმალურად გამოიყენონ შეჯიბრებამდე დარჩენილი დრო შრომისა და დასვენებისთვის, ხოლო თვით შეჯიბრებაში მთელი ძალით იბრძოლონ წარმატებისთვის.

**ნ. იმესაშვილი.**

# ვკისრულობთ...

**ხარაგაულში** 15 ივნისს გაიმართა ძიუდოისტთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდის კრება, რომელმაც განიხილა საქართველოს საზოგადოებრიობის გამოჩენილ წარმომადგენელთა მიმართვა რესპუბლიკის სპორტსმენებისადმი „თქვენ შეგწევთ ამის ძალა!". მიმართვამ ახალი იმპულსი მისცა ნაკრები გუნდის წევრთა მზადებას სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისათვის. ნაკრებმა გუნდმა, თითოეულმა სპორტსმენმა მიმართვის პასუხად იკისრეს გაზრდილი ვალდებულებანი.

მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა **შოთა ხაბარელმა** მიმართვას მეტად დამაფიქრებელი უწოდა. მიმართვის პასუხად ვიღებ ვალდებულებას, რომ სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე ვიბრძოლო მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონის ტიტულისათვის — თქვა შ. ხაბარელმა.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **თემურ ხუბულურმა** გულისტკივილით აღნიშნა, რომ სპორტის ბევრ სახეობაში და კერძოდ ძიუდოში ჩვენმა რესპუბლიკამ დათმო მოწინავე პოზიციები. დაკარგულის დასაბრუნებლად საჭიროა მტკიცე დისციპლინა, საყოფაცხოვრებო და საწვრთნო რეჟიმის მტკიცედ დაცვა, შეუპოვარი შრომა და გარჯა. დიდი სპორტი მსხვერპლს მოითხოვს. მე მზად ვარ უყოყმანოდ დავთმო ამქვეყნიური ბევრი სიკეთე იმისათვის, რომ სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე მივაღწიო გამარჯვებას.

— ჩემი მთავარი მიზანია — თქვა სსრ კავშირის ჩემპიონმა **თამაზ ნამგალაურმა**, — III ადგილიდან, რომელიც VII სპარტაკიადაზე დავიკავე, გადავინაცვლო მეორე ან პირველ ადგილზე. ეს იქნება ჩემი პასუხი სახელოვან ადამიანთა მიმართვაზე.

ევროპის ჩემპიონმა **აკაკი კიბორძალიძემ** თქვა, რომ მიმართვა აღიქვა როგორც საბრძოლო მოწოდება. — მისი გაცნობის შემდეგ ახლებურად შევაფასე ჩემი უფლება-მოვალეობა, პასუხისმგებლობა. მართალია, ხალხთა სპარტაკიადაში პირველად მივიღებ მონაწილეობას, მაგრამ სიტყვას ვიძლევი, რომ ნდობას გავამართლებ...

საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა **ტ. ჩუთლაშვილმა**, ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **დ. ხაბულიანმა**, მწვრთნელებმა **გ. პაპიტაშვილმა, ო. მერაბიშვილმა** ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ ხანს სპორტკომიტეტის ჭიდაობის სამმართველოს თაოსნობით ბევრი რამ გაკეთდა სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხის ასამაღლებლად, მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა პრაქტიკაში დასანერგად. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს ახალ გაზრდილ მოთხოვნებს. მომავალში ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ სპორტსმენთა მომზადება თანამედროვე პირობების შესაბამისად წარიმართოს.

# კითხვა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს

**„რამ განაპირობა ჩვენი რესპუბლიკის ჩამორჩენა სპორტის ჩვენთვის ისეთ ტრადიციულ სახეობაში, როგორიც ცხენოსნობაა და რა ღონისძიებები ტარდება შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად?".**

**საქართველოს** ცხენოსანთა ნაკრები კოლექტივის შედეგები საკავშირო შეჯიბრებებში უკანასკნელი წლების მანძილზე შესამჩნევად გაიზარდა. 1979 წლამდე საკავშირო შეჯიბრებებში ისინი გუნდურ X-XI ადგილებს იკავებდნენ. 1979 წელს საკავშირო სპარტაკიადაზე გუნდმა VI ადგილი დაიკავა, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი გახდა (1981-82 წ.) ხ. სიმონია, 1982 წ. საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონია თ. ჯღარკავა. 1979 წლამდე არცერთი ქართველი ცხენოსანი არ ყოფილა საკავშირო ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატი. 1979 წლიდან საკავშირო ნაკრები გუნდის წევრობის კანდიდატები იყვნენ ი. კოკინა (ცხენის გაწვრთნა), ხ. სიმონია, თ. ჯღარკავა, ს. შელია (დაბრკოლებათა გადალახვა). მიღწევებთან ერთად, რა თქმა უნდა, ცხენოსნობის მასობრივად განვითარებაში შეიმჩნევა ნაკლოვანებებიც, რაც გამოწვეულია ხელისშემშლელი პირობებით და ზოგიერთი უწყების ამ საქმისადმი უყურადღებობით.

საქართველოში არსებობს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" 10 საცხენოსნო სპორტული კლუბი (გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის, ზუგდიდის, ცხაკაიას, სამტრედიის, ფოთის, ჩოხატაურის), ქ. თბილისში — საქართველოს სპორტკომიტეტის საცხენოსნო სპორტული ბაზა.

რესპუბლიკაში არსებულ საცხენოსნო სპორტულ კლუბებში, ბაზებში, სკოლებში მუშაობისათვის არ არის შექმნილი სათანადო პირობები. უმრავლესობას არა აქვს მარტივი ტიპის მოედნები, მანეჟები, დაბრკოლებათა კომპლექტები, სათანადო აღჭურვილობა, არ ჰყოფნით საცხენოსნო ინვენტარი, ცხენის საკვები თივა, შვრია და სხვა. ცხენოსნობის განვითარებას ისიც უშლის ხელს, რომ რესპუბლიკაში არის მხოლოდ ერთი ცხენსაშენი (ყულარის), ისიც არასრულყოფილი. ყველა ცხენსაშენი თავის პროდუქციას ყიდის ისე, როგორც მას სურს.

2-3 წლის კვიცის ფასი საშუალოდ 10-12 ათასი მანეთია (ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ძვირია), საცხენოსნო სპორტულ კლუბებში კი ცხენთა შემადგენლობის ნაწილი სპორტისთვის უვარგისია და მოითხოვს შეცვლას. რესპუბლიკის მოსახლეობაში საგრძნობლად იკლო ცხენების რაოდენობამ. დაბალია, განსაკუთრებით რაიონებში, მწვრთნელთა კვალიფიკაციის დონე. ცხენოსნობის განვითარებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ცხენოსნობა ძირითადად კულტივირებულია სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეში", სხვა სპორტულ საზოგადოებებში კი მან დასაყრდენი ვერ პოვა, რის გამოც საუწყებო ღონისძიებათა რაოდენობამ იკლო და გუნდებს შორის კონკურენციაც ნაკლებია. ამ მხრივ შედარებით კარგი მდგომარეობაა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მუშაობა შეწყდა აჭარაში და ქ. ქუთაისში, სადაც ადრე ცხენოსნობის კარგი ტრადიცია ჰქონდათ. მუშაობისათვის სათანადო პირობები არ გააჩნია საქართველოს სპორტკომიტეტის საცხენოსნო ბაზას, რომელიც თბილისის სახელმწიფო იპოდრომის ტერიტორიაზე იმყოფება. ბაზა შეზღუდულია ტერიტორიით, დღემდე არ გადაწყვეტილა საკითხი მათთვის იპოდრომის დახურული მანეჟის გადაცემის შესახებ. მოედნებზე, სადაც ცხენოსნები მეცადინეობენ, მშენებლობა მიმდინარეობს, დღემდე გადაუჭრელია საკითხი იპოდრომის ტერიტორიაზე სპეციალური ზონის გამოყოფის შესახებ.

არ სრულდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 16 დეკემბრის № 918 დადგენილების პუნქტი, „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტის და საცხენოსნო ტურიზმის განვითარების შესახებ". შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს სპორტკომიტეტმა 1982 წ. 20 ოქტომბერს მიიღო სპეციალური დადგენილება „მესამე საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე საქართველოს ცხენოსანთა მონაწილეობის შედეგების, საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადისათვის მზადებისა და რესპუბლიკაში ცხენოსნობის შემდგომი განვითარების შესახებ".

გაიზარდა სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა. საქართველოს VIII სპარტაკიადის პროგრამით მიმდინარე წელს შეჯიბრებები ტარდება როგორც საცხენოსნო სპორტის კლასიკურ სახეობებში, ისე ეროვნულ სახეობებში. შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა ცხენოსნობაში. მიღებულია ზომები ცხენთა შემადგენლობის ნაწილობრივი განახლებისათვის. გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს ცხენოსნობაში მეცადინეთა გაზრდისათვის. მიღებული სპეციალური დადგენილება სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" მიერ რესპუბლიკაში ცხენოსნობის განვითარების შესახებ ითვალისწინებს საცხენოსნო სპორტული კლუბების მუშაობის მკვეთრად გარდაქმნას.

მიმდინარე წლის 3 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე ჩაატარა სპეციალური თათბირი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 16 დეკემბრის № 918 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის და რესპუბლიკაში საცხენოსნო სპორტში სპორტული ბაზების მდგომარეობისა და მისი შემდგომი განმტკიცების შესახებ. აღნიშნული თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. დ. მგელაძე, განათლების მინისტრი ო. დ. ქინქლაძე, საქართველოს სამხედრო კომისარი, რესპუბლიკის საცხენოსნო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარე ლ. ლ. შარაშენიძე, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. მ. ქველიაშვილი და სხვა უწყებათა წარმომადგენლები.

თათბირზე დასახული იქნა ღონისძიება რესპუბლიკაში ცხენოსნობის განვითარების და მისთვის საჭირო სპორტული ბაზების შექმნის შესახებ.

აღნიშნული დადგენილებების და დაგეგმილი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარება უზრუნველყოფს რესპუბლიკაში ცხენოსნობის შემდგომ განვითარებას.

**შ. ქველიაშვილი,**
**საქართველოს სსრ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.**

# გზა მიეცით „დედოფალს!..“



დასასრული

მეტოქე თავიდანვე დაწინაურდა — 2:0, 4:2, 7:3, 11:6. IV დასკვნითი პერიოდის წინ ყაზახეთის წყალბურთელები უკვე 6 ბურთით იყვნენ წინ. ჩვენმა ნაკრებმა შეძლო დაწეოდა მეტოქეს, მაგრამ, როგორც ვიუწყებოდით, მაინც დამარცხდა — 9:13.

**ჩვენმა ფრენბურთელმა ვაჟებმა**, რომლებიც XIII-XVII ადგილებისთვის იბრძვიან, ადვილად სძლიეს სომხეთის გუნდს — 3:0 (15:3, 15:5, 15:7), ხოლო ქალებმა მწვავე ბრძოლის შემდეგ წარმატებას მიაღწიეს ყირგიზელებთან შეხვედრაში — 3:2 (15:13, 15:10, 9:15, 5:15, 15:11).

**მოფარიკავეებმა** სპარტაკიადის გუნდური მედლები გაითამაშეს ხმლით ბრძოლაში. საქართველოს ნაკრებმა დიდი ანგარიშით მოუგო შეხვედრა ტაჯიკეთის გუნდს — 9:1. ერთნაირი ანგარიშით (6:9) დამარცხდა უკრაინისა და ლენინგრადის გუნდებთან, ბოლოს კი VII ადგილისთვის ბრძოლაში აზერბაიჯანის გუნდთან ფრედ დაამთავრა შეხვედრა — 8:8. ორივე კოლექტივს ჩხვლეტათა ერთნაირი რაოდენობა დაუგროვდა. ამ შემთხვევაში დავას სწყვეტს გუნდების კაპიტნების დამატებითი ორთაბრძოლა. გ. პაიჭაძის უპირატესობა აშკარა იყო ტ. აკიმოვთან შეხვედრაში. მან დაამარცხა მეტოქე — 5:1 და გუნდს მეშვიდე ადგილი გაუნაღდა, ისევე როგორც რაპირისტმა ვაჟებმა.

**გუშინ VIII სპარტაკიადის დასკვნით მატჩში ჩვენი წყალბურთელები აზერბაიჯანელებს შეხვდნენ, გაიმარჯვეს 11:10 (4:3, 2:1, 3:4, 2:2) და V ადგილზე გავიდნენ. ფრენბურთელი ვაჟები თურქმენეთის გუნდს ხვდებოდნენ, ხოლო ქალები — ტაჯიკეთისას.**

გუშინვე ოლიმპიურ სარბიელზე გამოვიდნენ სპარტაკიადის მოფარიკავეთა ტურნირის მონაწილე რაპირისტი ქალები.

• • •

**...ლუჟნიკში** სტარტი აიღეს **მძლეოსნებმა.** პირველ დღეს ბრძოლაში ჩაებნენ ათჭიდელები და შვიდჭიდელი ქალები. გაიმართა წინასწარი გარბენი 100, 400, 800 და 3000 მ (ქალები) დისტანციაზე, ესტაფეტები 4X100 მ-ზე, საკვალიფიკაციო შეჯიბრებები სამხტომსა და სიმაღლეზე ხტომაში. გუშინვე გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები ბირთვის კვრაში, 10000 მ დისტანციაზე რბენასა და 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში.

**სპორტის მოყვარულებს შევახსენებთ ქულათა ჩათვლის სისტემას. გუნდს ჩასათვლელ ქულას აძლევს სპორტსმენი, რომელიც 16 საუკეთესოს შორის მოხვდება. I ადგილისთვის — 36 ქულა, II — 30, III — 25, IV — 20 და ა. შ.**

**მარათონში, სპორტულ სიარულში, ათჭიდსა და შვიდჭიდში ჩათვლას იძლევა პირველი 24 ადგილი. ამას გარდა, სპორტსმენებს დაერიცხებათ დამატებითი ქულები: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებისათვის — 30, სსრ კავშირის რეკორდის დამყარებისათვის — 32, ევროპის რეკორდისთვის — 45, მსოფლიო რეკორდისთვის — 54.**

დღეს კალათბურთელთა 8 უძლიერესი კოლექტივი ბრძოლას გააგრძელებს სპარტაკიადის ოქროს მედლებისთვის. როგორც მკითხველმა იცის, ქართველი კალათბურთელები მათ შორის მოხვდნენ.

ქვეჯგუფებში ასპარეზობის შემდეგ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მოსკოვის, ლენინგრადის, ლიტვის, უკრაინის, ლატვიის, რსფსრ-ს, ბელორუსიისა და საქართველოს კალათბურთელებმა. მათთან ერთად ფინალში „ოქროს ქულებით“ გავიდნენ მოსკოვის, უკრაინის, ლიტვის და ლენინგრადის გუნდები.

ქართველ კალათბურთელებს მთავარ ფინალში გასასვლელად გადამწყვეტი თამაში ჰქონდათ უზბეკ სპორტსმენებთან. მატჩი დაძაბულად წარიმართა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ეს ორი კოლექტივი ერთმანეთის მეზობლადაა (მე-8—მე-9 ადგილები), მეორეც, [illegible] სპარტაკიადის წინ უზბეკეთის გუნდში სათამაშოდ გადავიდნენ სუხარევი (ცსკა), აბელიანოვი („კალევი“), შიშკოვი და გრებენიკოვი (მოსკოვის „ალმაზი“). ამ მატჩში კარგად ითამაშეს მილოვიდოვმა (30 ქულა), დერიუგინმა (34) და მცველმა ჩაჩანიძემ.

ბოლო მატჩში აზერბაიჯანის ნაკრებთან კვლავ გამოიჩინეს თავი მილოვიდოვმა (25 ქულა) და დერიუგინმა (21 ქულა).

როგორც ჩვენი გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა გვითხრა, ბიჭები სათამაშოდ არიან განწყობილი და იმედი გვაქვს ექვსეულში მოვხვდებით.

ქართველი კალათბურთელები დარჩენილ შეხვედრებს გამართავენ: 19 ივნისს — ლატვიასთან, 20 — ლიტვასთან, 21 — მოსკოვთან, 23 — რსფსრ-სთან, 24 — ბელორუსიასთან, 25 — ლენინგრადთან.

**მოსკოვი, 18 ივნისი.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის წევრი გიორგი პაიჭაძე (მარჯვნივ) ასპარეზობისას.**

ა. სვერდლოვის ფოტო.



**რამდენიმე დღის წინ ტაშკენტში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ჩოგბურთელთა ტურნირი.**

**„ა“ ქვეჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სომხეთისა და ყირგიზეთის გუნდებს სძლია და 8 უძლიერესს შორის დაიმკვიდრა ადგილი. გათამაშების ფინალურ ეტაპზე კი ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა 8 შეხვედრაში მხოლოდ 2 გამარჯვების მოპოვება შეძლეს (ესტონეთისა და ბელორუსიის კოლექტივებთან) და საბოლოოდ VI ადგილს დასჯერდნენ.**

**უზბეკეთის დედაქალაქის კორტებზე ჩვენი სპორტსმენების გამოსვლის შესახებ თავის პირველ შთაბეჭდილებას გვიზიარებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი, ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რევაზ კონცელიძე:**

# ცხელი დღეები ტაშკენტის კორტებზე

— **პირველ** რიგში უნდა აღინიშნოს: შეჯიბრება ისეთ მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა როგორიც ასეთი დიდი მასშტაბის ასპარეზობას შეშვენის. კორტები კარგად იყო მომზადებული, ვერც მსაჯებს დავიმდურებით. ისიც უნდა ითქვას, რომ ტურნირის საკმაოდ დაძაბულ რეგლამენტს (ათდღიანი ასპარეზობის მანძილზე დასვენებისთვის მხოლოდ ორი დღე იყო გამოყოფილი) ტაშკენტის მცხუნვარე მზეც მიემატა და ამიტომ იყო, შეჯიბრების ბოლოს ჩვენი გუნდის ახალგაზრდა წევრები დაღლილად რომ გამოიყურებოდნენ. სპარტაკიადაზე ყველაზე ახალგაზრდული გუნდი—საქართველოს ნაკრები, ჩოგბურთის ცნობილი სპეციალისტების აზრით საინტერესო და ერთობ პერსპექტიული მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს გუნდს ტაშკენტის ტურნირისთვის მოსამზადებელ პერიოდში დიდი დახმარება გაუწიეს VIII საკავშირო სპარტაკიადისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების საორგანიზაციო კომიტეტმა, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ. სამზადისმა ნაყოფიერად ჩაიარა, თუმცა თითო-ოროლა ხარვეზმა მაინც იჩინა თავი. ამას დაერთო ისიც, რომ ზოგიერთი ჩოგბურთელი შეჯიბრებისთვის ვერ განეწყო. ეს ხელისშემშლელი მიზეზები რომ არა, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები უკეთესად იასპარეზებდა. მით უმეტეს, რომ ფინალურ ტურნირში ესტონეთისა და ბელორუსიის წარმომადგენლებთან ერთნაირი ანგარიშით (7:4) გამარჯვებების შემდეგ ჩვენს სპორტსმენებს მესამე ადგილის მოპოვების რეალური შანსი გაუჩნდათ. ამისთვის საჭირო იყო ლატვიელ და აზერბაიჯანელ ჩოგბურთელთა დამარცხება, რაც გადაუჭრელ პრობლემას სულაც არ წარმოადგენდა. მართლაც, ორივე მატჩში საქართველოს ნაკრები მიზანთან ახლოს იდგა — წარმატების მოსაპოვებლად მხოლოდ თითო ქულაღა ჰყოფნიდა, მაგრამ წყვილთა შეხვედრების შემდეგ გამარჯვების სასწორი ორივეჯერ ჩვენი მეტოქეების მხარეს გადაიხარა მინიმალური ანგარიშით 6:5.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენი ახალგაზრდული გუნდი საბოლოოდ VI ადგილზე აღმოჩნდა. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა, თუ გავიხსენებთ, რომ წინა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვეტერანი ოსტატები თეიმურაზ კაკულია, ალექსანდრე მეტრეველი, ალა ივანოვა და ნინო თუხარელი, სატურნირო ცხრილში V საფეხურზე მაღლა ასვლა ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დაგეგმილს მიაღწიე, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ხარ.

გუნდის წევრთაგან პირველ რიგში ქების ღირსია საქართველოს ჩემპიონი ირინე მალაციძე, რომელიც სპარტაკიადაზე დღითიდღე აუმჯობესებდა თამაშს. ირინე იყო ნამდვილი ლიდერი, სხვებისთვის ჩინებული მაგალითის მიმცემი. აღსანიშნავია მალაციძის შთამბეჭდავი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მეორე ჩოგანთან, მინსკელ ნატალია ბოროდინასთან ორთაბრძოლაში — 6:7, 7:5, 6:0.

საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე 15 წლის ლეილა მესხის თამაშმა. ნაკრების მწვრთნელები გარკვეულ რისკზე წავიდნენ, როდესაც ნორჩ ჩოგბურთელს გუნდის ძირითად შემადგენლობაში ანდეს ადგილი, მაგრამ ნიჭიერმა გოგონამ სავსებით გაამართლა იმედები. იგი ყოველი ბურთისთვის ისეთი თავგამოდებით იბრძოდა, თითქოს სწორედ ამ ქულაზე იყო დამოკიდებული ორთაბრძოლის ბედ-იღბალი. მალაციძემ და მესხმა მებრძოლის შესაშური თვისებები გამოამჟღავნეს ბელორუსიის ნაკრებთან წყვილთა შეხვედრაში ბრძოლისას. მინსკელმა სპორტსმენებმა პირველი პარტია ადვილად მოიგეს — 6:1. ისინი მეორეშიც ახლოს იყვნენ მიზანთან (ანგარიში იყო 5:2 და 40:30 მათ სასარგებლოდ), სწორედ ამ კრიტიკულ სიტუაციაში გამოიჩინეს ჩვენმა გოგონებმა ხასიათის სიმტკიცე, პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა და შეძლეს თითქმის წაგებული პარტიის გადარჩენა — 7:6, შემდეგ მესამე, გადამწყვეტ პარტიაშიც მიაღწიეს წარმატებას — 8:6.

მაღალი კლასის თამაში აჩვენა ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონმა ვიქტორ ხურდამ. მან ტოლი არ დაუდო სხვა გუნდის პირველ ნომრებს, რომლებიც თბილისელ ჩოგბურთელზე უფროსებიც არიან და გამოცდილებაც მეტი აქვთ. მაგალითისთვის ბაქოელ რამიზ ახმეროვთან და იური ფილიოვთან (კიევი) გამარჯვებებიც კმარა. ისიც უნდა ითქვას, რომ სპარტაკიადაზე ბრძოლის მთელი სიმძიმე სწორედ მალაციძემ და ხურდამ გადაიტანეს — მათ თითქმის ყოველდღიურად, სამ-სამჯერ უხდებოდათ კორტებზე გამოსვლა.

ტურნირის ნამდვილი აღმოჩენა იყო ვლადიმერ გაბრიჭიძე, 15 წლის სპორტსმენს უკვე თამაშის საკუთარი მანერა აქვს, ფსიქოლოგიურადაც კარგადაა მომზადებული და არც ავტორიტეტებს უშინდება. ტაშკენტის კორტებზე გაბრიჭიძის წარმატებულ დებიუტს ფართოდ გამოეხმაურა საკავშირო პრესა, ცენტრალური ტელევიზია.

იმედია, ქება უარყოფითად არ იმოქმედებს ნიჭიერ სპორტსმენზე და მომავალში იგი მეტი მონდომებით გააგრძელებს ვარჯიშს. აქვე დავსძენ, რომ როგორც გაბრიჭიძეს, ასევე გუნდის სხვა ახალგაზრდა წევრებსაც — მესხს, მალაციძეს, ხურდას კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ, რათა აღმოფხვრან მათი თამაშისათვის დამახასიათებელი ხარვეზები.

აქვე მადლობა უნდა ვუთხრათ მათ მწვრთნელებს, რომლებიც, მართალია, სათანადოდ არ არიან „შეიარაღებულნი“ წვრთნის თანამედროვე მეთოდებით, მაგრამ მუხლჩაუხრელად შრომობენ და ყველაფერს აკეთებენ ჩვენს რესპუბლიკაში ჩოგბურთის სასახელო ტრადიციების აღსადგენად.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სპორტის დამსახურებული ოსტატის ალექსანდრე მეტრეველის ღვაწლი ამ სპარტაკიადაზე. როგორც გულშემატკივრებმა იციან, სახელოვანმა ჩოგბურთელმა ორი წლის წინ დატოვა სარბიელი, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დასაცავად წლეულს კვლავ აიღო ჩოგანი. ქედს ვიხრი მისი მამაცობის წინაშე. იგი ტრავმირებული, სიცხიანი გამოვიდა კორტზე ბელორუსიის ნაკრებთან წყვილთა შეხვედრის ჩასატარებლად და ჩინებულად, ჩვეული ალმაფრენით იასპარეზა. გარდა ამისა, ახალგაზრდა პარტნიორს ვიქტორ ხურდას ყველა პირობა შეუქმნა, რომ მას სრულად გამოემჟღავნებინა თავისი შესაძლებლობანი და ეთამაშა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი.

აქვე უნდა ითქვას, რომ გამარჯვებისთვის ყველა როდი იბრძოდა თავგამოდებით. საწყენია, რომ აქ უნდა დავასახელოთ ისეთი კარგი მონაცემების მქონე ჩოგბურთელი, როგორიცაა გია ელერდაშვილი. ტაშკენტში ელერდაშვილმა სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა. მაყურებელი კორტზე ხედავდა უიმედო, თითქოს წინასწარ ხელჩაქნეულ სპორტსმენს, რომელსაც ოდნავადაც არ აღელვებდა თავისი გუნდის ბედ-იღბალი. რიგელ ზილგალვისთან ორთაბრძოლის მესამე, გადამწყვეტ პარტიას ელერდაშვილი დიდი უპირატესობით იგებდა — ანგარიში იყო 5:2, შემდეგ კი 5:3 და 30:0, მგრამ გიამ როგორღაც მაინც „მოახერხა“ და ეს შეხვედრაც წააგო.

მარტო ნიჭი, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება არაფერს ნიშნავს, თუკი სპორტსმენი ფსიქოლოგიურადაც არ იქნება სათანადოდ მომზადებული, თუ ყოველ ორთაბრძოლაში მებრძოლის თვისებებს არ გამოავლენს.

სწორედ ეს ბრძოლის ჟინი აკლდათ ტაშკენტში კარინე პეტროსიანს, მარინე მალაციძესა და ვიქტორ ბაკშის. მართალია, მათ აღმაფრენის წუთებიც ჰქონდათ, მაგრამ ეს სასიამოვნო გამონაკლისი უფრო იყო.

ავადმყოფობის გამო მთელი ძალით ვერ იასპარეზა ნინო თუხარელმა.

კმაყოფილი ვართ თუ არა მიღწეული შედეგით?

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ტაშკენტში საქართველოს ნაკრები ყველაზე ახალგაზრდული გუნდი იყო, აკლდა გამოცდილებაც და ოსტატობაც, იმასაც, რომ გუნდის ყველა წევრმა ვერ გამოავლინა სპორტსმენის მტკიცე ხასიათი და აშკარად სუსტად იასპარეზა, ჩვენ უკმაყოფილო ვართ არა იმდენად შედეგით, რამდენადაც იმით, რომ ბოლომდე ვერ გავაჯანსაღეთ ატმოსფერო ჩვენს ჩოგბურთში. მწვრთნელთა შორის, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შეიმჩნევა კინკლაობა, საკუთარი წარმატებების წინ წამოწევის სურვილი. მაგრამ ეს ძალზე სერიოზული პრობლემაა და ცალკე დიდი საუბრის თემა. ვფიქრობ, ამ მტკივნეულ საკითხზე გვექნება მსჯელობა ფედერაციის სხდომაზე და, ვიმედოვნებთ, გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზეც...

აქვე დავძენ, რომ ჩვენი დღევანდელი აზრები არის სასპარტაკიადო, ასე ვთქვათ, „ცხელი“ შთაბეჭდილებანი. ჩოგნის ოსტატთა ტაშკენტში გამოსვლის გულდაჯერებითი აწონ-დაწონვა, მათი ღვაწლის შეფასება ჩოგბურთის სპეციალისტების სამომავლო საქმედ მესახება.

ბოლოს უნდა აღვნიშნო, რომ სპარტაკიადაზე ნაჩვენები შედეგით უკმაყოფილება მომავლის იმედს არ გვიკარგავს. მჯერა, რომ რესპუბლიკაში სპორტის ამ პოპულარული სახეობის განვითარებას მყარი საფუძველი აქვს და სახელმწიფოს, საზოგადოებრიობის მხარდაჭერა თანდათან სასურველ შედეგს გამოიღებს.

• • •

ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნაამბობი სტატისტიკური მონაცემებით გვინდა შევავსოთ.

ტაშკენტის კორტებზე საქართველოს ნაკრებმა სულ 9 შეხვედრა გამართა, რომელთაგან ოთხში გამარჯვება მოიპოვა, 5 კი წააგო. სპარტაკიადებზე აქამდე ჩვენი რესპუბლიკის ვაჟები უფრო აღწევდნენ წარმატებას, ამჯერად კი პირიქით მოხდა — 36 შეხვედრიდან ქალებმა 17 მოიგეს, ვაჟებმა კი 15.

აი, როგორია გუნდის თითოეული წევრის მაჩვენებლები: ვ. ხურდა — 6 გამარჯვება (9 შეხვედრაში), მ. მესხი — 5 (8), ი. მალაციძე — 4 (8), ვ. გაბრიჭიძე — 4 (8), კ. პეტროსიანი — 4 (9), გ. ელერდაშვილი — 3 (9), მ. მალაციძე — 2 (5), ნ. თუხარელი — 2 (6), ვ. ბაკში — 2 (7), ა. მეტრეველი — 1 (3).

როგორც ხედავთ, საუკეთესოა ხურდასა და მესხის მაჩვენებლები, მხოლოდ მათ შეძლეს 50%-ზე უკეთესი შედეგის ჩვენება.

წარმატებით იასპარეზა მეტრეველ-ხურდას წყვილმა, რომელმაც 4 შეხვედრიდან 3 თავის სასარგებლოდ დაამთავრა. დანარჩენი წყვილების შედეგები კი ასეთია: ი. მალაციძე — ხურდა — 2 გამარჯვება 4 შეხვედრაში, ი. მალაციძე — მესხი — 2 (3), ირინე და მარინე მალაციძეები — 0 (1).

და კიდევ ერთი: ჩვენი კოლექტივის VI ადგილმა სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში საქართველოს სპორტულ დელეგაციას 56 ქულა შესძინა.

ვ. ახალაძე.

# პიონერული ზაფხული-83









**საქართველოს** საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტისა და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფოლადაურის პიონერთა ბანაკი „მეგობრობა“ (ცადაზიდული მთებითაა გარემოცული. უზარმაზარი კაკლები, მდინარე ფოლადაური და მისი ლამაზი შემოგარენი იდეალურ პირობებს ქმნის 800 მობინადრის დასვენება-გაკაჟებისთვის.

ბანაკში დილა გამაჯანსაღებელი ვარჯიშით იწყება. პიონერები ინტერესით ადევნებენ თვალყურს მოსკოვში მიმდინარე საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალურ ორთაბრძოლებს.

ბანაკში სტუმრადაა საქართველოს სპორტკომიტეტთან არსებული ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის 50 ნორჩი ფეხბურთელი, რომელთა წვრთნასა და ვარჯიშს ხელმძღვანელობენ გ. შავდია, ჯ. თანანაშვილი, თ. მარღანია.

**ნ. თევზაძე.**

* * *

**სურათებზე:** ფოლადაურის პიონერთა ბანაკის ნორჩი ფრენბურთელები; დილის ვარჯიში; იმედის გვირილაო; შუა თამაშში.

ხ. ვართანესოვის ფოტოები.

# „პირველი მერცხლის“ პირველი წარმატება

**1982 წლის** ბოლოს წყალტუბოს ზონის ბროწეულას სკოლა-ინტერნატში ნორჩ რეგბისტთა ორი გუნდი ჩამოყალიბდა. პირველი ჯგუფი 1968-69 წლებში, ხოლო მეორე — 1971-72 წლებში დაბადებული ბავშვებით დაკომპლექტდა. გუნდებს საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებენ ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატის რეგბისტთა გუნდის ყოფილი წევრები ა. იობიძე და დ. თუთბერიძე.

მოკლე ხანში ინტერნატის ნორჩმა რეგბისტებმა სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის მოყვარულთა სიმპათია დაიმსახურეს. ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა ისინი მიმდინარე წლის აპრილში მცხეთაში გამართულ საქართველოს პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს. დებიუტი საიმედო იყო — სკოლა-ინტერნატის ნორჩმა რეგბისტებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. ტურნირის ორგანიზატორებმა მაღალი შეფასება მისცეს „პირველი მერცხლის“ თამაშს და ახალგაზრდა სპორტსმენებს და ენთუზიასტ მწვრთნელებს მისცეს საგზური საკავშირო ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად.

გაზეთ „პიონერსკაია პრავდის“ პრიზზე გამართულ საკავშირო ტურნირში „პიონერული ოვალი — 83“, რომელიც მოეწყო ქ. ზელინოგრადში, მონაწილეობდნენ 1971-1972 წლებში დაბადებული ნორჩი რეგბისტები. სულ გამოდიოდა 6 გუნდი: მოსკოვის (2), ზელინოგრადის, ლენინგრადის, სოლნეჩნოგრადისა და საქართველოდან — „პირველი მერცხალი“. საქართველოს წარგზავნილებმა მაყურებელთა და ტურნირის ორგანიზატორების დიდი მოწონება დაიმსახურეს. ჩვენი სპორტსმენები გამოირჩეოდნენ ერთსულოვნებით და კოლექტიურობით, რის გამოც მათ თითქმის ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავდათ. შედეგით კმაყოფილი უნდა ვიყოთ — „პირველმა მერცხალმა“ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ ქ. ზელინოგრადის ჳომკავშირის საქალაქო კომიტეტის სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო გუნდის კაპიტანი გოჩა ავალიანი ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველად აღიარეს.

წარმატება ვუსურვოთ ინტერნატის ნორჩ რეგბისტებს.

**ო. ტყამლაძე,**
**ბროწეულას სკოლა-ინტერნატის დირექტორი.**

* * *



**სურათებზე:** საკავშირო ტურნირ „პიონერული ოვალი — 83“-ის მესამე პრიზიორი, ბროწეულას საშუალო სკოლა-ინტერნატის ნორჩ რეგბისტთა გუნდი „პირველი მერცხალი“, მარცხნიდან უფროსი მწვრთნელი ა. იობიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი მ. ჰულუხაძე და მწვრთნელი დ. თუთბერიძე.

● სამბო

# შორეულ პუერტო-რიკოში

**საქართველოს** ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი ალექსანდრე ხაჩიძე რამდენიმე წელიწადია წარმატებით გამოდის სამბისტთა და ძიუდოისტთა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. მან უკვე ოთხჯერ (ორჯერ — სამბოში, ორჯერ — ძიუდოში) გაიმარჯვა თანატოლთა საკავშირო პირველობებში, მოგებული აქვს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი.

ახალგაზრდა თბილისელმა ფალავანმა რომელსაც ბიძამისი გ. ხაჩიძე ავარჯიშებს, კარგად იასპარეზა ამას წინათ გამართულ იუნიორ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატში და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ შეჯიბრებას პუერტო-რიკოს ქალაქი მაიაგუესი მასპინძლობდა. როგორც საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. კაპლინმა აღნიშნა, აუტანელმა სიცხემ და მაღალმა ტენიანობამ ხელი შეუშალა ჩვენს სპორტსმენებს მთელი ძალით ეჭიდავათ. საბჭოთა ძიუდოისტთაგან ერთადერთი ოქროს მედალი ოდესელმა გ. იარემენკომ (მძიმე წონა) მოიპოვა. ა. ხაჩიძე ქვემძიმე წონით კატეგორიაში გამოდიოდა. პირველი ორთაბრძოლის მოგების შემდეგ იგი დამარცხდა იაპონელ ძიუდოისტთან და ეგრეთწოდებულ დამამშვიდებელ ჯგუფში მოხვდა. აქ ხაჩიძემ ყველა შეხვედრა მოიგო და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, III ადგილი დაიკავა.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა აგრეთვე გორელი ენგურ გოგიჩაშვილი (78 კგ).



-ის სტარტზევე დამარცხდა ფრანგ სპორტსმენთან და ასპარეზობას გამოეთიშა.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ძიუდოისტებმა იაპონიისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა შემდეგ III ადგილი დაიკავეს.

* * *

**სურათზე:** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ა. ხაჩიძე.

## პანორამა

### ● კალათბურთი

**სან-პაულუში** წარმატებით აიღეს სტარტი ევროპის ჩემპიონებმა იტალიელმა კალათბურთელებმა, რომლებმაც აქ დაწყებულ საერთაშორისო ტურნირში დაამარცხეს მასპინძლები, ბრაზილიელები —88:83 (ეს უკანასკნელნი ამას წინათ დამთავრებულ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის გამარჯვებულნი არიან). ევროპის პირველობის შემდეგ გაახალგაზრდავებულმა იუგოსლავიის გუნდმა სძლია არგენტინის ნაკრებს — 91:71. შეჯიბრებაში მონაწილეობს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი „მარათონი“.

### ● ცურვა

**გდრ-ის** ქალაქ გერაში კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა. 14 წლის ა. სტრაუსმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 4.08,25 აჩვენა, ეს რეკორდი 0,33 წამით სჯობნის ამავე ქვეყნის სპორტსმენ ქალ ი. დირსის წინანდელ მიღწევას.

## უცხოური იუმორი

### კბილის ექიმი და კრივი

— ჩემი აზრით, კრივი სპორტის ერთ-ერთი საუკეთესო სახეობაა.

— თქვენ რა, კრივს მისდევთ?

— არა, კბილის ექიმი ვარ.

### მატჩის დროს

— წარმოიდგინეთ, საათობით იბრძვიან ერთი თასისთვის...

— აბა, ერთი ბოთლისთვის რაღას იზამდნენ!

### უტყუარი დარაჯი

— მანქანის მართვა იცით?

— არა, ძალიან კი ვნანობ!..

— აგაშენათ ღმერთმა, სწორედ ასეთ კაცს ვეძებდი, ხომ ვერ მომიხედავთ მანქანას ერთი საათით?

**ფრანგულიდან თარგმნა**
**ი. ბადავიძემ.**

## „სპორტლოტო“

**გუშინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 25-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 49-დან“** 1 (კალათბურთი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 21 (ცურვა), 34 (ბალახის ჰოკეი), 41 (სამბო).

**„სპორტლოტო“ 5 36“-დან:** 7 (კლასიკური ჭიდაობა), 18 (მძლეოსნობა), 25 (ციგაობა), 28 (ტყვიის სროლა), 30 (ძალოსნობა).

●

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 11 ივნისს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, 24-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** ექვსი ციფრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ხუთისთვის (32 ბარათი) — 998 მანეთი, ოთხისთვის (1089 ბარათი) — 39, სამისთვის (19624 ბარათი) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ხუთი ციფრის გამოცნობისათვის (2 ბარათი) აქაც მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1264 ბარათი) — 250, სამისთვის (50187 ბარათი) — 12.

მოგებული თანხის განაღდება — 22 ივნისიდან 22 ივლისის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

ფეხბურთი

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**
**„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი)**

23 ივნისს — სათადარიგო შემადგენლობანი.

**დასაწყისი 19 საათზე.**

24 ივნისს — ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 19 სთ. 30 წთ.

ორგანიზაციებს ბილეთები მიეყიდებათ 22-23 ივნისს 10 საათიდან.

ბილეთების საერთო გაყიდვა 24 ივნისს სტადიონის №1—№5 და №9 — №16 სალაროებში 10 საათიდან.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატებს და სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს, მსოფლიოსა და ევროპის რეკორდსმენებსა და ჩემპიონებს — №6 სალაროში, სსრ კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, სსრ კავშირის გმირებს — №7 სალაროში, დიდი სამამულო ომის ინვალიდებს — №8 სალაროში.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. გაზეთი კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
06590